სანოტარო აქტი
საქართველო

ორი ათას ოცი წლის ოცდაათ ივლისს მე, ნოტარიუს თამარ ბაქრაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დიდი დიღომი ი.პეტრიწის ქუჩა №16 მომმართა ბექა ქავთარაძემ. მან განაცხადა რომ არის შპს „კ3 დეველოპმენტი“-ს (ს/ნ №430035927) დირექტორი და სურს ირაკლი მაზიაშვილის მიმართ მინდობილობის შედგენა და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავადგინე, რომ მე ნამდვილად ბექა ქავთარაძემ (დაბ.14.03.1993 წელს, ზესტაფონი, პირადი №18001062610, რეგისტ. მისამართზე: საქართველო, ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ზესტაფონი, დავით აღმაშენებლის ქუჩა, N 29, ბინა 19) მომმართა. მე ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა ეს მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

მე, ბექა ქავთარაძე, როგორც შპს „კ3 დეველოპმენტი“-ს (ს/ნ #430035927) დირექტორი შემდგომში ამ მინდობილობაში წოდებული როგორც “მიმნდობი პირი”, ამ მინდობილობით უფლებამოსილებას ვანიჭებ ირაკლი მაზიაშვილს (დაბ.01.05.1986 წელს, პირადი #01024037393) შემდგომში – “მინდობილ პირს”:

მინდობილი პირი უფლებამოსილია იყოს მიმნდობი პირის წარმომადგენელი მიმნდობი პირის სახელზე რიცხულ ნებისმიერ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოებში, იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იყოს წარმომადგენელი ქალაქის მერიაში, მერიის ნებისმიერ სამსახურში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, თვითმმართველობის ორგანოებში, გამგეობაში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, საამზომველო ფირმებში, ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროში, ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტაცია/ცნობები/მოწმობები, ყველა პირისგან, დაწესებულებისაგან, წარმოადგინოს მიმნდობი პირის ინტერესები აზომვითი ნახაზის პროექტის შედგენისას, ჩაატაროს აზომვითი სამუშაოები, შეათანხმოს საპროექტო დოკუმენტაცია მერიის შესაბამის სამსახურთან, მიიღოს არქიტექტურულ-გეგმარებითი დავალება, ასევე მიიღოს მშენებლობის ნებართვა, აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები და მოახდინოს აშენებული ფართის ექსპლუატაციაში მიღება. მინდობილი პირი ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი ცვლილება მიმნდობი პირის კუთვნილ უძრავ ნივთზე, მათ შორის მოახდინოს: უძრავი ქონების ფართების დაზუსტება, კორექტირება, გამიჯვნა, გაერთიანება, დაყოფა, გამიჯნული ნაწილის მიერთება მიმდებარედ არსებულ სხვა ნაკვეთთან (სხვა უძრავ ნივთთან), რეგისტრაციის შეწყვეტა, რეგისტრაცია, სტატუსის შეცვლა და ა.შ. ამისათვის შეიტანოს ყოველგვარი განცხადება, მიიღოს და წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა, მოწმობა და სხვა დოკუმენტი ან/და მისი დუბლიკატი, მოაწეროს ხელი ყველა შესაბამის დოკუმენტს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალებების შესრულებასთან.

მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით, რისთვისაც საჭიროა ამ მინდობილობის სანოტარო წესით გაუქმება.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის ვადით.

მინდობილობა შედგენილია ქართულ ენაზე სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება, ნოტარიუსის თამარ ბაქრაძის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობ პირს.

ამ მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში თან ერთვის:

შპს „კ3 დეველოპმენტი“-ს (ს/ნ #430035927) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის საფუძველზე - 10 (ათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი, ჯამში: 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ბექა ქავთარაძე

საქართველო. ნოტარიუსი. GEORGIA. NOTARY. 01014002800 ნოტარიუსი თამარ ბაქრაძე

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85447234710820

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200498685

რეგისტრაციის თარიღი

30.07.2020 წ

ნოტარიუსი: თამარ ბაქრაძე
მისამართი: ქ.თბილისი დ/დიღომი ი.პეტრიწის ქ. N 16
ტელეფონი: 591 701 115; 322 43 28 70;

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18